16/12/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება დედაქალაქის საკრებულოში

ა.წ. 14 დეკემბერს თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 90-ე და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე, ბ-ნი შალვა პაპუაშვილი, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, ბ-ნი გიორგი ტყემალაძე, პარლამენტის წევრები, მინისტრთა კაბინეტისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და აკადემიკოსები.

ღონისძიებაზე თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის რექტორმა, თეოლოგიის, ფილოლოგიის და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ წარადგინა უნიკალური გამოცემები, – „მრავალენოვანი ბიბლია“,

„კურთხევანი“ და წმ. გიორგი მთაწმინდელის „მარხვანი“ და გამოცემათა შემდგენლები თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი ბ-ნი ედიშერ ჭელიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქ-ნი ლელა ხაჩიძე.

ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორის, ბ-ნ ედიშერ ჭელიძის მიერ შედგენილი მრავალტომეული – ,,მრავალენოვანი ბიბლია” [Biblia Polyglotta] (გამოიცა სამი ტომი) შემოკრებს უმდიდრეს ქართულენოვან ბიბლეისტურ მასალას, რასაც აქვს არა მხოლოდ განსაკუთრებული სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ღირებულება, არამედ დიდი ეროვნული მნიშვნელობაც. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ევროპის სამეცნიერო ცენტრებში აქამდე გამოცემულ ,,მრავალენოვან ბიბლიებში” არ იყო შესული წმინდა წერილის ის ჭეშმარიტად შეუფასებელი საუნჯე, რაც ქართულ ენაზეა დაცული და რაც ნათლად მიანიშნებს უძველეს დროსვე მის თარგმანს ბერძნულიდან.

ასევე ბ-ნ ედიშერ ჭელიძის მიერ სამ ტომად გამოიცა საეკლესიო ლიტურგიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი – “კურთხევანი”. მასში შევიდა ძირითადი კურთხევითი წეს-განგებანი, რომლებიც რედაქციულად მოიცავენ როგორც წინაათონურ ეპოქას, ასევე ათონისა და გელათის მამათა უძვირფასეს ლიტურგიკულ მემკვიდრეობას. ტექსტების პუბლიკაცია შესრულებულია ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით, შესაბამისი სქოლიოებითა და ვრცელი ტერმინოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი განმარტებებით.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ,,მარხვანი“ – გამოიცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ქ-ნ ლელა ხაჩიძის მიერ. ორ ტომად გამოცემულ ნაშრომში პირველად გამოქვეყნდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენლის – წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ-რედაქტირებული უნიკალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის, – ,,მარხვანის“ – აკადემიურად დადგენილი ტექსტი XI-XV საუკუნეების შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერის მიხედვით. ამ კრებულში შევიდა მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და დიდი წმინდანების დიდმარხვისათვის განკუთვნილი მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართული ვერსიები, რომელიც წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერაა თარგმნილი ბერძნულიდან ან მის მიერაა რედაქტირებული. ამავე კრებულში წარმოდგენილია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის 100-ზე მეტი საგალობელი.

აღნიშნული გამოცემები მისი უწმინდესობის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა.

სიტყვით ასევე გამოვიდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი შალვა პაპუაშვილი, ვატიკანის ელჩი ჟოზე აველინო ბეტანკური, აშშ-ს ელჩი, ქ-ნი კელი დეგნანი და სხვანი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრების 45-ე და დაბადების 90-ე საიბულეო თარიღები მიულოცეს. მათ ისაუბრეს ილია II-ის პიროვნების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე და ჯანმრთელობა და

დღეგრძელობა უსურვეს მას.

****

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი შალვა პაპუაშვილი

ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსარდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ვიღებ მონაწილეობას. მე წარმოვადგენ იმ თაობას, რომლის ასაკიც თითქმის ემთხვევა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის პატრიარქობის პერიოდს. ჩემს ცხოვრებაში, ისევე როგორც ჩემი თაობის წარმომადგენლების ცხოვრებაში, არ ყოფილა წუთი,დღე, წელი, როდესაც ჩვენი პატრიარქი არ იყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი. ჩვენ ამავე დროს წარმოვადგენთ იმ თაობას, რომელმაც გამოიარა ეკონომიკური კეთილდღეობაც და სიდუხჭირეც, გამოირა საზოგადოების ერთიანობა და გახლეჩა, გამოიარა ომი და მშვიდობა. არ ყოფილა დღე, არ ყოფილა წელი, როდესაც პატრიარქი არ იყო ჩვენი საზოგადოების ნაწილი და ჩვენი თანაზიარი ჭირისა თუ ლხინის დროს.

ჩვენ ყველას გვახსოვს მისი ღვაწლი ჩვენი საზოგადოების სულიერი განვითარების და აზროვნების განვითარების კუთხით.

ყველა მისი ეპისტოლე არის, ერთი მხრივ შინაარსობრივად დატვირთული და, მეორე მხრივ, ეს არის მოწოდებაც, წყაროც აზროვნებისთვის, დაფიქრებისთვის და გააზრებისთვის, სად ვართ, სად ვიყავით და საით მივდივართ.

ეს არის მთელი ეპოქა და, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, რომ ასეთ ღონისძიებაში ვიღებ მონაწილეობას. დღეს წარმოდგენილი ნაშრომებიც დასტურია იმის, რაც არის მთავარი ღვაწლი პატრიარქის, ეს არის სწორედ სინთეზი სულიერების და განათლების, სულიერების და აზროვნების, რომლის ნაყოფიც არის ეს ნაშრომები.

****

საქართველოში არსებული დიპლომატიური კორპუსის მეთაური, ვატიკანის ელჩი საქართველოში ჟოზე აველინო ბეტანკური

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ,

ბატონო მინისტრებო,

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილევ,

პატივცემულო პარლამენტის წევრებო,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებო,

პატივცემულო ელჩებო,

პროფესორო ედიშერ ჭელიძე და პროფესორო ლელა ხაჩიძე,

თბილისის სასულიერო აკადემიის აკადემიურო კორპუსო და სტუდენტებო,

პატივცემულო სასულიერო პირნო,

თქვენო აღმატებულებანო და ძვირფასო სტუმრებო,

მადლობას მოგახსენებთ, რომ მომიწვიეთ თბილისის სასულიერო აკადემიის სხდომაზე, რომელიც ეძღვნება მნიშვნელოვან მიღწევებსა და თარიღებს.

გადავცემ პაპი ფრანცისკეს სალამს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობას ილია II-ს და ყველა აქ დამსწრეს.

25 დეკემბერს ჩვენ ვზეიმობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობა ილია II-ის აღსაყდრების 45-ე წლისთავს. 4 იანვარს კი ვზეიმობთ ჩვენი სულიერი ლიდერის დაბადების დიდად საპატივცემულო 90-ე წლისთავს.

დღეს პატივცემული საზოგადოება შეიკრიბა იმ კეთილშობილური განზრახვით, რომ პატივი მიაგოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობა ილია II-ს. აღნიშნულ კონტექსტში იმართება პრეზენტაცია პროფესორების – ედიშერ ჭელიძის და ლელა ხაჩიძის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნებისა, რომლებიც ეძღვნება მის უწმიდესობას ილია II-ს.

ჩვენ შევიკრიბეთ ამაღლებული და კეთილშობილი გრძნობებით.

პროფესორ ედიშერ ჭელიძის მოღვაწეობა კარგადაა ცნობილი წმიდა საყდრის სადესპანოსთვის. ჩემი ერთ-ერთი წინამორბედის მხარდაჭერით, პროფესორ ჭელიძისა და მთარგმნელთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების თარგმნას ძველი ქართულიდან ახალ ქართულ ენაზე. ეს გამოცემა ნათელი მაგალითია კათოლიკური და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების თანამშრომლობისა.

დღეს ჩვენს წინაშეა კიდევ სამი გამოცემა: „მრავალენოვანი ბიბლია“, „კურთხევანი“, „მარხვანი“, რომლებიც ეხმიანებიან ისტორიული გელათის აკადემიის სახელოვან საღვთისმეტყველო ტრადიციებს,

გილოცავთ ამ დიდებულ წამოწყებას. მჯერა, რომ ეს გამოცემები ბიძგს მისცემენ შემდგომ თეოლოგიურ კვლევებს და აკადემიურ საქმიანობას თბილისის სასულიერო

აკადემიასა თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ დაწესებულებებში.

უძველეს ტრადიციებში ჩაღრმავება ახალ საუნჯეს და ახალ წყაროებს წარმოაჩენს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს თანამედროვე სულიერებას და ამდიდრებს სამომავლო კვლევებს.

ამ საქმიანობისთვის ნამდვილად ღირს დროისა და რესურსების ინვესტირება წმინდა ეკლესიისა და კეთილშობილი ქართველი ერის სასიკეთოდ.

დღეს გვსურს ჯეროვანი პატივი მივაგოთ თქვენი ეკლესიის ღრმა სულიერ ტრადიციებს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობა ილია II-ის მიერ ათწლეულების მანძილზე ნაკისრ უდიდეს პასუხისმგებლობას, მის თავდადებას ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის სამსახურში.

ახალი 2023 წლის დამდეგს, მივესალმებით მის უწმიდესობას და, მის დაბადების დღესა და შობადღის დღესასწაულთან დაკავშირებით, ვუძღვნით მას ჩვენს გულითად და საუკეთესო ლოცვით სურვილებს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობასა და სიხარულს.

****

აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქ-ნი კელი დეგნანი

ჩემთვის დიდი პატივია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მივულოცო და პატივისცემა გამოვხატო მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიმართ, დაბადებიდან 90 წლის იუბილესა და აღსაყდრების 45 წლისთავთან დაკავშირებით.

1977 წლიდან მისი უწმინდესობა სულიერ მხარდაჭერასა და წინამძღოლობას უწევს ქართველ ერს, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი. მისმა მადლმა, სიბრძნემ და ზნეობრივმა სიცხადემ სასიცოცხლო როლი შეასრულა ქართველი ერის თვითმყოფადობისა და რწმენის შენარჩუნებაში ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ერის, ხელახლა დაბადებასა და აღორძინებაში

მე წილად მხვდა პატივი შევხვედროდი მის უწმინდესობას და ჩემთვის ყოველთვის ამაღელვებელი იყო მისი სიბრძნე, თანაგრძნობა და ძალა. მას მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ საზოგადოებაში და გასაკვირი არ არის, რომ ის ამდენ ადამიანს ასე უყვარს.

აშშ-ის საელჩო უაღრესად აფასებს მისი უწმინდესობისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვან როლს საქართველოში. მისმა უწმინდესობამ თავისი ცხოვრება მიუძღვნა მშვიდობის, თავისუფლებისა და ერთიანობის სანუკვარ ფასეულობებს – ღირებულებებს, რომლებიც ამერიკელებისთვისაც ძალიან ძვირფასია. თავისი ხანგრძლივი და გამორჩეული მოღვაწეობის განმავლობაში, პატრიარქი მოუწოდებდა და მოუწოდებს ყველას გამოწვევების მშვიდობიანი გადაჭრისკენ და ის აგრძელებს იყოს ერთიანობის ხმა დღევანდელ პოლარიზებულ სამყაროში.

შეერთებული შტატები რჩება ერთგული იმ მიზნებისა, რომლებსაც მისმა უწმინდესობამ მიუძღვნა თავისი ცხოვრება – მშვიდობიანი, სუვერენული, დემოკრატიული საქართველო.

მილიონობით ადამიანი საზრდოობს უწმინდესის სულიერი წინამძღოლობით და ქართველი ხალხის მიმართ მისი ერთგულებით. ვუსურვებთ მას ძალას, ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს მრავალი წლის განმავლობაში

გაუმარჯოს, მრავალჟამიერ!

****

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ტყემალაძე:

,,ჩვენთვის დიდი პატივია საკრებულოს დარბაზში ვუმასპინძლოთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის დაბადებიდან 90-ე და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას.

ფასდაუდებელია ჩვენი პატრიარქის ღვაწლი ჩვენი ეკლესიის, ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. მის ზრუნვას და სიყვარულს იღებს საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე განურჩევლად მრწამსისა.

მისი უწმინდესობის ინიციატივით დაიწყო და ბოლომდე მიყვანილ იქნა ქვეყნისთვის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მისი ავტორიტეტი მუდმივად ეხმარება სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე. აუცილებლად უნდა აღვნიშნო პატრიარქის უდიდესი წვლილი სასულიერო აკადემიის არსებობაში და საქმიანობაში”.

საქართველო

საპრეზიდენტო

ქალაქ თბილისის
საკრებულო

საპრეზიდენტო
საპრეზიდენტო
საპრეზ

საქრთველო

საქრთველო

patriarchate.ge